

სახელი: მათილდა

გვარი: გვათუა

ასაკი: 17 წელი

სკოლა- სსიპ ქალაქ ფოთის N4 საჯარო სკოლა

კლასი - XI

„ისტორია, რომელსაც ჯერ კიდევ ვწერთ“

მვირფასო იზი,

ვფიქრობ, ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ ვიცით ერთმანეთის ქვეყნების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ გვილაპარაკია ამ თემაზე, კარგად მახსოვს ის ისტორიებიც, რომლებიც შენს სამშობლოზე, ნიდერლანდებზე მომიყევი. თუმცა მე ვთვლი, რომ სწორედ ჩვენ ვართ იმ თაობის წარმომადგენლები, რომელიც მომავალ ევროპას შექმნის – ისეთს, სადაც მრავალფეროვნება სიამაყეა და თავისუფლება – ყველა ადამიანის საყოველთაო უფლება. მინდა მოგიყვე ჩემი ქვეყნის, საქართველოს ისტორია – გზა, რომელიც მან

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე განვლო. ეს გზა სავსე იყო როგორც ტრაგედიებით, ისე შთამაგონებელი გამარჯვებებით და მე მართლაც შეამაყება, რომ ამ ქვეყნის შვილი ვარ.

მოგეხსენება, რომ საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის საზღვარზე – ისტორიულად ის მუდამ ებრძოდა ძლიერ იმპერიებს, რათა შეენარჩუნებინა საკუთარი ეროვნული იდენტობა. დამოუკიდებლობა ჩვენმა ქვეყანამ, რუსეთის იმპერიის ხანგრძლივი გავლენის შედეგად, პირველად 1918 წელს მოიპოვა, როცა გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს იყო დრო, როცა საქართველომ გააკეთა ძალზე გაბედული არჩევანი: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, განათლება და პროგრესი. შეიქმნა პირველი კონსტიტუცია, რომელიც იცავდა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებებს, ქალებს მიენიჭათ ხმის მიცემის უფლება, გაიხსნა უნივერსიტეტები და ჩატარდა თავისუფალი არჩევნები.

თუმცა, სამწუხაროდ ეს ისტორიული გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წელს საბჭოთა წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო და ქვეყანა მომდევნო 70 წლით ძალადობრივი გზით შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამ დროს ქართული ენა, ეკლესია, კულტურა და აზრის თავისუფლება ფაქტობრივად იგნორირებული იყო და ჩვენს ეროვნულ იდენტობას გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. საბჭოთა რეჟიმმა ბევრს წაართვა ღირსება და ბევრს – სიცოცხლე.

1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა ჯარებმა მშვიდობიანი დემონსტრანტები სისხლიანად დაარბიეს. მრავალი ახალგაზრდა და ქალბატონი იმ ღამით დაიღუპა. თუმცა ეს ტრაგედია გახდა გადამწყვეტი მომენტი მომავალი მოქმედებისთვის – ჩვენი ხალხის შიში იქცა ჩვენს სიძლიერედ. სწორედ ამ მუხტით, 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ ხელახლა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

მაგრამ, ალბათ დამეთანხმები, რომ დამოუკიდებლობა მხოლოდ ფორმალური არ არის. რეალური თავისუფლება ითხოვს ძლიერ ინსტიტუტებს, კრიტიკულ აზროვნებას, განათლებულ საზოგადოებას და ყველაზე მთავარს – დამოუკიდებელ აზროვნებას.

იზი, იცი ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: „ნამდვილად გავხდით დამოუკიდებლები?“ და ყოველ ჯერზე ვხვდები, რომ პასუხი ერთმნიშვნელოვანი არ არის. დიახ, ჩვენ აღარ გვიწევს სხვა დიდ სახელმწიფოზე დაქვემდებარება, გვყავს ჩვენი მთავრობა, საკუთარი ჯარი და

ვმართავთ საკუთარ გადაწყვეტილებებს. მაგრამ ჯერ კიდევ ვსწავლობთ პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავზე. ჯერ კიდევ ვებრძვით კორუფციას, პოლიტიკურ პოლარიზაციას, ეკონომიკურ უთანასწორობას და რუსეთისგან მომდინარე პოლიტიკურ საფრთხეებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2008 წელს საქართველომ დაკარგა ორ რეგიონზე კონტროლი – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე.

ამავდროულად, ჩვენი ქვეყანა ყოველდღიურად უფრო უახლოვდება ევროპულ ღირებულებებს: მიმდინარეობს განათლების რეფორმა, ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი სამოქალაქო აქტივობებში, თუნდაც მე და შენი გაცნობაც, ხომ საერთოშორისო ევროპული ფორუმის დამსახურება არის! იზრდება ქალთა და უმცირესობების ხილვადობა საზოგადოებაში. ჩვენ ვესწრაფვით ისეთ მომავლისკენ, სადაც ქართული ტრადიციები თანაბრად ერწყმის თავისუფალ აზროვნებას, სამართლიანობასა და ტოლერანტობას.

დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა ჯერ არ არის დასრულებული – ის ჯერ კიდევ “მშენებლობის” პროცესშია. და ჩვენი თაობა სწორედ ამ გზის მთავარი შემოქმედია. მე მჯერა, რომ საქართველო შეძლებს ნამდვილი თავისუფლების მიღწევას – არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზე, არამედ ადამიანების ცნობიერებაშიც.

შეიძლება წინ კიდევ ბევრი გამოწვევა გველის, მაგრამ თავისუფლებისკენ სვლა შეუქცევად პროცესად იქცა. მე მჯერა, რომ ერთ დღეს ისევ ჩამოხვალ საქართველოში და ამ გზაზე კიდევ ბევრ კარგ ცვლილებას შეამჩნევ, რომელიც ჩვენთვისაც, შენთვისაც და მთლიანად ევროპისათვის თვალსაჩინო იქნება. - სიყვარულით მატყილდასგან

"A Story We Are Still Writing"

Dear Izzy,

I believe we still know very little about each other's countries, despite having talked about this topic more than once. I clearly remember the stories you told me about your homeland – the Netherlands. But I truly believe that it is our generation that will shape the future of Europe – a Europe where diversity is a source of pride and freedom is a universal right.

I want to tell you the story of my country, Georgia – the path it has walked from independence to freedom. This path has been marked by tragedies and inspiring victories, and I am genuinely proud to be a child of this land.

As you may know, Georgia is located at the crossroads of Europe and Asia – historically, it has always fought against powerful empires to preserve its national identity. Georgia first gained independence in 1918 after centuries of being under Russian imperial influence. This was when the Democratic Republic of Georgia was proclaimed – a bold choice for democracy, human rights, education, and progress. A progressive constitution was adopted, protecting religious and ethnic minorities, women were granted the right to vote, universities were opened, and free elections were held.

Unfortunately, this historic achievement was short-lived. In 1921, the Soviet Red Army invaded Georgia, and the country was violently annexed into the Soviet Union for the next 70 years. During this period, the Georgian language, church, culture, and freedom of thought were severely suppressed, and our national identity was pushed to the brink of extinction. The Soviet regime took away people's dignity – and often their lives.

On April 9, 1989, in Tbilisi, Soviet troops brutally cracked down on peaceful demonstrators on Rustaveli Avenue. Many young people and women lost their lives that night. However, this tragedy became a turning point – the fear of our people turned into strength. Fueled by this spirit, on April 9, 1991, Georgia once again declared its independence.

But as you would probably agree, independence is not just a formal status. True freedom requires strong institutions, critical thinking, an educated society, and above all – independent thought.

Izzy, I often ask myself: “Have we truly become independent?” And every time, I realize the answer isn't so simple. Yes, we are no longer under the control of another great power, we have our own government, our own army, and we make our own decisions. But we are still learning how to take full responsibility. We continue to fight corruption, political polarization, economic inequality, and the ongoing political threats from Russia – especially after the 2008 war, when Georgia lost control over two regions: Abkhazia and the Tskhinvali region.

At the same time, our country is drawing ever closer to European values: educational reforms are underway, young people are actively engaged in civic life – in fact, our meeting is thanks to an international European forum! The visibility of women and minorities in society is steadily growing. We are striving for a future where Georgian traditions coexist in harmony with free thinking, justice, and tolerance.

The path to real independence is still under construction. And it is our generation that is building it. I believe Georgia will achieve true freedom – not just on the level of statehood, but also within people's consciousness.

There are many challenges ahead, no doubt, but the movement toward freedom has become irreversible. I believe that one day, when you return to Georgia, you will witness many positive changes – changes that will be visible not only to us, but to all of Europe.

With love, Matilda